

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა 200010022

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა ს/კ 200010022 რეგისტრირებულია 22 სექტემბერი 1999 წლიდან. საზოგადოების პარტნიორი/მესაკუთრე 100% წილის მმართველი შპს აკადემიკოს ოლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი გენერალური დირექტორი - გიორგი ამისულაშვილი 01010007449 კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, თემის დასახლება მე11 მ/რ 1 კვარტალი. საქმიანობის ადგილი არის საქართველო. კომპანია ეწევა სამედიცინო საქმიანობას. ემსახურება როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პაციენტებს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

საწარმო ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.



გენერალური დირექტორი

გიორგი ამისულაშვილი

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობა;
2. საქმიანობის შედეგები;
3. ფულადი სახსრების მოძრაობა.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს წრფივი მეთოდით.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალურად დანიშნულების მიხედვით;

გენერალური დირექტორი



გეორგი ამისულაშვილი

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახება ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც პაციენტს მიეწოდება სამედიცინო მომსახურება, ან მყიდველს მიეწოდება ან/და საკუთრების უფლება გადაეცემა საქონელზე/მომსახურებაზე.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

გენერალური დირექტორი



გიორგი ამისულაშვილი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება საკრედიტო პირობებით, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება და წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების სახით. პროდუქციის თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ დაერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.


ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ძირითადად ფულადი სახსრების მოძრაობა უფიქსირდება საბანკო ანგარიშებზე, თუმცა ნაღდი ფულის შემოსულობებიც უფიქსირდება.

კომპანია ყველა ვალდებულების დაფარვას აწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით იშვიათი გამონაკლისების გარდა.



გენერალური დირექტორი

 გიორგი ამისულაშვილი

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა (ს/კ 200010022)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2018	31/12/2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	391132	488857
სავაჭრო მოთხოვნები	2904804	2536820
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	159791	134734
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	159791	134734
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	11496	12745
ძირითადი საშუალებები	4626072	4123690
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	8093295	7296846
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	130712	9373
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	598959	255156
საგადასახადო ვალდებულებები	149333	64038
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	96318	96318
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	8439	10391
სულ ვალდებულებები	983761	435276
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	642920	642920
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	6240191	5992227
გადაფასების რეზერვი	40670	40670
სხვა რეზერვები	185753	185753
სულ საკუთარი კაპიტალი	7109534	6861570
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8093295	7296846



გენერალური დირექტორი

გიორგი ამისულაშვილი

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა (ს/კ 200010022)

საქმიანობის შედეგები	2018
ნეტო ამონაგები	5838056
საქონლის გაყიდვიდან	5838056
მომსახურების გაწევიდან	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-610337
საწყისი მარაგები	-134734
მარაგების შესყიდვა	-635394
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	159791
საერთო მოგება	5227719
სხვა შემოსავალი	111972
დასაქმებულთა ანაზღაურება	-4542237
ცვეთა და ამორტიზაცია	-334348
საპროცენტო შემოსავალი	45946
საპროცენტო ხარჯი :	0
იჯარის ხარჯი	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-261088
სულ საოპერაციო ხარჯები	-4979755
საოპერაციო მოგება	247964
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	0
მარაგები	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	247964
მოგების გადასახადი	0
მოგება/(ზარალი)	247964
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	247964
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	6861570
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	247964
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7109534



გენერალური დირექტორი

გიორგი ამისულაშვილი

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა (ს/კ 200010022)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	18017071
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-18114796
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-97725
სავალუტო კურსის ეფექტი	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	488857
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	391132



გენერალური დირექტორი

გეორგი ამისულაშვილი